

	სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	თარიღი	თებერვალი 2025
		თავი	-
		გვერდი	1/9
		ცვლილება	0

„დამტკიცებულია“

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი





დადგენილება № 24-03-2025




საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

ძირითადი ასლი

	სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	თარიღი	თებერვალი 2025
		თავი	1
	სარჩევი	გვერდი	2/9
		ცვლილება	0

1. სარჩევი

1. სარჩევი	2
2. ცვლილებები.....	3
2.1 ცვლილებების ისტორია.....	3
3. მოქმედი გვერდების სია.....	4
4. დოკუმენტაციის კონტროლი.....	5
4.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია.....	5
5. ძირითადი ნაწილი.....	6
მუხლი 1. შესავალი.....	6
მუხლი 2. მიზანი.....	6
მუხლი 3. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	6
მუხლი 4. აკადემიური მოსწრების ანალიზი	6
მუხლი 5. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა.....	7
მუხლი 6. შეფასების ხერხები	8
მუხლი 7. სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები	8
მუხლი 8. დამსაქმებელთა გამოკითხვა.....	9

	სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	თარიღი	თებერვალი 2025
		თავი	3
	ცვლილებები	გვერდი	3/9
		ცვლილება	0

2. ცვლილებები


ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. შეცვლილი წესი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.

შედგენილია:	დამტკიცებულია:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	რექტორი
თარიღი:	თარიღი:

ამოღებული გვერდი				დამატებული გვერდი			
თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი	თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი

2.1 ცვლილებების ისტორია

ცვლილების №	ცვლილების საფუძველი	შეცვლილი გვერდები	თარიღი	ცვლილების ინიციატორი


	სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	თარიღი	თებერვალი 2025
		თავი	4
	დოკუმენტაციის კონტროლი	გვერდი	5/9
		ცვლილება	0

4. დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.

4.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია

ორგანიზაცია	ფორმატი	ასლის ნომერი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ბეჭდური	ძირითადი ასლი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
უნივერსიტეტის ვებ-გვერდი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია

	სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	თარიღი	თებერვალი 2025
		თავი	5
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	6/9
		ცვლილება	0

5. ძირითადი ნაწილი

მუხლი 1. შესავალი

- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხობრივი მაჩვენებლის ზრდისა და ევროპულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან უფრო მეტად დაახლოვების მიზნით აუცილებლად მიგვაჩნია, სტუდენტების ცოდნის შეფასების იმგვარი მექანიზმის დანერგვა, რომელიც ნათლად წარმოაჩენს სტუდენტის აკადემიური მიღწევების თავსებადობას საგანმანათლებლო პროგრამების მიერ დადგენილ სწავლის შედეგებთან, რაც თავის მხრივ იძლევა პრობლემის ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირებისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარების საშუალებას. ეს კი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზარის მოთხოვნებთან მუდმივ შესაბამისობაში ყოფნას და მისი განვითარების აუცილებლობის დადგენას.

მუხლი 2. მიზანი


- მექანიზმის მიზანია, განსაზღვროს სწავლის შედეგების შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებთან, რითიც მოახდენს პრობლემის დროულ იდენტიფიცირებასა და შესაბამისი ღონისძიებების დროულ გატარებას.

მუხლი 3. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება (შემდგომში შეფასება) ხორციელდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზისა და საჭიროებისამებრ ცალკეული ერთჯერადი ღონისძიების მეშვეობით, რომელთა საჭიროებასა და შინაარსს განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო.
- შეფასების პროცესს ზედამხედველობს ფაკულტეტი და უზრუნველყოფს შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოებას;
- შეფასების პროცესის დაგეგმვა-განხორციელებას და შესაბამისი დოკუმენტაციის შეგროვება-დამუშავებას ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი;
- განხორციელებული შეფასება განიხილება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე და გამოვლენილ ხარვეზებზე/მიგნებებზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროგრამის ხელმძღვანელს.

მუხლი 4. აკადემიური მოსწრების ანალიზი

- წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც გვაძლევს პროგრამისა და სილაბუსის შინაარსობრივი და სტრუქტურული დამუშავების საშუალებას, რა დროსაც ხორციელდება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დონეების დადგენა, რაც თავის მხრივ იძლევა სასწავლო კურსის შინაარსის სიმარტივე/სირთულის განსაზღვრის შესაძლებლობას, შესასწავლი თემების მართებულობის, სისტემურობისა და თანამიმდევრულობის დადგენას, აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდებისა და შეფასების ფორმების თანხვედრასა და

	სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	თარიღი	თებერვალი 2025
		თავი	5
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	7/9
		ცვლილება	0

სტუდენტის მიერ სწავლის დადგენილი შედეგების მიღწევის რეალისტურობის განსაზღვრას.

მუხლი 5. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

1. სწავლის შედეგების მიღწევის ერთ-ერთი ინდიკატორია სწავლის შედეგების რუკა, რაც იძლევა პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შედარების საშუალებას, რომელიც თვალნათლივ აჩვენებს რომელი სასწავლო კურსით/კურსებით ხდება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა.

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

პროგრამის მიზნები	სწავლის შედეგები							
	1.1	1.2	1.3	2.1	2.2	2.3	3.1	3.2
მიზანი 1	✓	✓	✓					
მიზანი 2	✓	✓			✓			
მიზანი 3				✓		✓	✓	✓
მიზანი 4	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓

ცხრილიდან ჩანს რომ, მიზანი 1-ის მიღწევა განპირობებულია სწავლის შედეგების 1.1, 1.2 და 1.3 შედეგად.

სწავლის შედეგები: 1 - ცოდნა გაცნობიერება; 2 - უნარები; 3 - ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა.

სასწავლო კურსების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა

#	სასწავლო კურსები	სწავლის შედეგები							
		1.1	1.2	1.3	2.1	2.2	2.3	3.1	3.2
	სასწავლო კურსი 1			1	1				
	სასწავლო კურსი 2		2	2	2				
	სასწავლო კურსი 3			1			3		
	სასწავლო კურსი 4		3		3			3	3


ცხრილიდან ჩანს რომ, სწავლის შედეგის 1.3 მიღწევა ხდება სასწავლო კურსი 1, 2 და 3 -ის მეშვეობით და შესაბამისი დონის მითითებით.

შედეგის მიღწევის დონე: 1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება.

სწავლის შედეგები: 1 - ცოდნა გაცნობიერება; 2 - უნარები; 3 - ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა

პირველ რიგში ფასდება სასწავლო კურსები რომლებსაც სტუდენტი გაყავს სწავლის შედეგზე/შედეგებზე. თითოეული სასწავლო კურსისათვის დგინდება დაგეგმილი სამიზნე ნიშნული, ფაქტიური მაჩვენებელი და გადახრის დასაშვები ზღვარი.

თითოეული სწავლის შედეგისათვის დგინდება დაგეგმილი და ფაქტიური სამიზნე ნიშნულები. მათი გამოთვლა ხდება სტუდენტების მიერ მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულით.

	სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	თარიღი	თებერვალი 2025
		თავი	5
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	8/9
		ცვლილება	0

თითოეული სწავლის შედეგისათვის განსაზღვრული გადახრის ზღვარი არის 20%.


მუხლი 6. შეფასების ხერხები

- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით ხდება მონაცემთა მოგროვებას და დამუშავება, რათა განისაზღვროს პროგრამაზე არსებული სტუდენტების საერთო რაოდენობიდან რამდენმა პროცენტმა მიაღწია პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს, რომ მოხდეს სამიზნე ნიშნულთან შედარება. ამისათვის გამოყენებულია პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდოლოგია. პირდაპირი შეფასების მეთოდების მაგალითებია წერიტი/ზეპირი გამოცდა/გამოკითხვა, პრეზენტაცია, რეფერატი, პრაქტიკული და სხვა. არაპირდაპირი შეფასების მეთოდებია დამსაქმებლების გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, საგანმანათლებლო პროგრამის ანალიზი, სტუდენტთა გამოკითხვა და სხვა.

მუხლი 7. სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები

- სასწავლო პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნულია აკადემიური მოსწრების ნორმალური განაწილება; ნორმალური განაწილების დიაპაზონიდან (20% ზე მეტი) გადახრის შემთხვევაში გადაიხედება სწავლის შედეგები და სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები.
 - კრედიტების/საათების განაწილება დროში;
 - სწავლების მეთოდები;
 - თემატიკა/ლიტერატურა;
 - მოცულობა;
 - შეფასების ფორმები და მეთოდები;
 - ჯგუფში სტუდენტთა ოდენობა;
 - კურსის დამლევის წინაპირობა;
 - სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები და ა. შ

#	პროგრამის სწავლის შედეგები	სასწავლო კურსები	სამიზნე ნიშნულები	
			დაგეგმილი	ფაქტიური
			A	B
1.1	შედეგი 1	სასწავლო კურსი 1 სასწავლო კურსი 2 სასწავლო კურსი 3	70% <	60%
1.3	შედეგი 3	სასწავლო კურსი 4 სასწავლო კურსი 5 სასწავლო კურსი 6	70% <	60%
2.1	შედეგი 4	სასწავლო კურსი 7 სასწავლო კურსი 8 სასწავლო კურსი 9	60%<	60%
2.3	შედეგი 6	სასწავლო კურსი 10 სასწავლო კურსი 11	60%<	60%

	სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	თარიღი	თებერვალი 2025
		თავი	5
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	9/9
		ცვლილება	0

		სასწავლო კურსი 12		
3.1	შედეგი 7	სასწავლო კურსი 13 სასწავლო კურსი 14 სასწავლო კურსი 15	60%<	50%
3.2	შედეგი 8	სასწავლო კურსი 16 სასწავლო კურსი 17 სასწავლო კურსი 18	60%<	50%

A სვეტი - რა დონით მიიღწევა კონკრეტული სწავლის შედეგი

B სვეტი - რამდენი სტუდენტი მიაღწევს (%-ში) სწავლის დაგეგმილ შედეგს.

- სწავლის შედეგების მიღწევის პროგრესზე ან რეგრესზე დაკვირვების მიზნით ხორციელდება მონიტორინგის შედეგების შედარება სამიზნე ნიშნულებთან და იგება გრაფიკი თვალსაჩინოებისათვის

მუხლი 8. დამსაქმებელთა გამოკითხვა

- დამსაქმებელთა გამოკითხვა წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა სწავლის შედეგების შეფასების გარე მექანიზმს, რომელიც შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით პროგრამის სიცოცხლისუნარიანობის დადგენის საშუალებას იძლევა;
- დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება შესაბამისი კითხვარისა ან/და დასაქმებული კურსდამთავრებულის/პრაქტიკანტის/სტაჟიორის შეფასების ფურცელის შევსებით;
- დამსაქმებელთან კავშირის დამყარებაზე, მათთან ინფორმაციის გაცვლაზე და მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებაზე პასუხისმგებელია საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
- დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება ყოველწლიურად, ამასთან დამსაქმებელი რომელსაც არ ყავს დასაქმებული კონკრეტული პროგრამის კურსდამთავრებული არ ავსებს კურსდამთავრებულის/პრაქტიკანტის/სტაჟიორის შეფასების ფურცელს;